გამამართლებელი განაჩენი და დაკმაყოფილებული სარჩელი

ზესტაფონის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულ ოთარ კაპანაძეს გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა. კაპანაძეს ბრალი სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანებისა და ქონების განადგურების მუქარაში ედებოდა.

საქმის მასალების მიხედვით, ბრალდებულს სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა ნ. რ-სთან, რომელიც მას ფინანსურად ეხმარებოდა. ნ.რ. მალე საბერძნეთში გაემგზავრა, საიდანაც ოთარ კაპანაძეს გარკვეულ თანხას კვლავ უგზავნიდა. ყოფილ შეყვარებულებს შორის ურთიერთობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც ბრალდებულმა ცოლი შეირთო. ნ. რ-ს დედამ ოთარ კაპანაძისაგან ფულის დაბრუნება მოითხოვა.

ოთარ კაპანაძისთვის წაყენებული ბრალდებით, იგი ნ. რ-ს დედას სიცოცხლის მოსპობით, ჯანმრთელობის დაზიანებითა და ქონების განადგურებით დაემუქრა, რა დროსაც დანაც გამოიყენა.

ზესტაფონის საქალაქო სასამართლომ გამოიკვლია მხარეების მიერ წარმდგენილი მტკიცებულებები და მიიჩნია, რომ საქმეში არ არსებობდა კაპანაძის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები. ამიტომაც, მოსამართლემ ბრალდებული უდანაშაულოდ ცნო და დარბაზიდან გაათავისუფლა.

ფოთის საქალაქო სასამართლომ კი თ.ბ-ს სარჩელი დააკმაყოფილა, რომლითაც თ.ბ. ფოთის მერიას უჩიოდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ფოთის მერიის გადაწყვეტილება, რომლითაც თ.ბ-ს უარი უთხრეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემაზე. მერიას დაევალა თ.ბ.-ს სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა სადავო საცხოვრებელ ბინაზე.

სტაჟირება თბილისის სააპელაციო სასამართლოში

მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, მათი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და სრულყოფის მიზნით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ სტაჟიორთა მისაღები კონკურსი გამოაცხადა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ცნობით, სტაჟირების ვადა განისაზღვრება არა უმეტეს 6 თვით. განსაკუთრებულ შემთხვევაში, სტაჟირების ვადა დამატებით შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 6 თვით. სტაჟიორი, სასამართლოს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის მითითებით და პასუხისმგებელი მოხელის მეთვალყურეობით, ასრულებს კონკრეტულ, ცალკეულ დავალებებს, რომელიც შეიძლება ეხებოდეს სასამართლოს სტრუქტურული ქვედანაყოფის ან ზოგადად სასამართლოს საქმიანობის საკითხებს. სტაჟირება ანაზღაურების გარეშეა. სტაჟირების წარმატებით გავლის შემთხვევაში გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი.

სტაჟირების კანდიდატი შეიძლება იყოს უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი, ასევე იურიდიული ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი.

საბუთების მიღება იწარმოებს განცხადების გამოქვეყნებიდან ორი კვირის ვადაში, 10:00-17:00 საათის ჩათვლით, შაბათ-კვირის გარდა (2011 წლის 13 დეკემბრიდან 27 დეკემბრის ჩათვლით). კონკურსი გაიმართება ტესტირების ან გასაუბრების ფორმით, განცხადების გამოქვეყნებიდან სამ კვირაში.

შვიდწლიანი რეფორმის შედეგი

გამართული, კვალიფიციური, დამოუკიდებელი, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულება

სასამართლო სისტემაში გასულ წელს მიღწეული წარმატებები და არსებული ხარვეზები, 6-წლიანი რეფორმის შედეგები და სამომავლო პრიორიტეტები, - ამ და ქართულ მართლმსაჯულებაში მიმდინარე სხვა პროცესებთან დაკავშირებით გვესაუბრება უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი.

- ბატონო კოტე, 2011 წელი მთავრდება, საინტერესოა, თქვენი შეფასება, როგორ იმუშავა 2011 წელს ქართულმა მართლმსაჯულებამ?

- 2011 წელი სასამართლო სისტემისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ ამოქმედდა საქმის წარმოების ელექტრონულმა პროგრამა. მანამდე, 4 წლის განმავლობაში პროგრამა მზადდებოდა - ეს ძალიან დიდი პროექტი იყო, ჩვენ ამერიკულ მხარესთან ერთად ვმუშაობდით. 2011 წელს ჩვენ დავიწყეთ ახალი სისტემით მუშაობა საქართველოს 14 დიდ სასამართლოში და ახლა დაგეგმილია ელექტრონული პროგრამის სისტემაში ჩაერთოს ორი დიდი სასამართლო. აქვე გეტყვით, რომ მომავალ წელს ამ პროგრამაში ჩაერთვება ყველა დიდი სასამართლო. ვმუშაობთ, თუ როგორ და რა ფორმით ჩაერთოს საკასაციო და სააპელაციო სასამართლოები ამ პროგრამაში.

პროგრამა მნიშვნელოვანია მართლმსაჯულებისთვის იმიტომ, რომ ის ძალზე გაამარტივებს და დააჩქარებს საქმის წარმოების პროცესს, უფრო მეტად გამჭვირვალეს და გახსნილს გახდის სასამართლო სისტემას, მომხმარებლებს მეტად გაუადვილდებათ ურთიერთობა სასამართლოსთან. ამ პროგრამის მეშვეობით ოპერატიულად იქნება შესაძლებელი ნებისმიერი საქმის თაობაზე ინფორმაციის მიღება, სტატისტიკის მოპოვება.

პირველი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები, მიღებისთანავე გამოქვეყნდება ვებგვერდზე და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მისი ნახვის საშუალება ექნება. გადაწყვეტილებები ამჟამად, ხელმისაწვდომია მხოლოდ მხარეებისთვის, დაინტერესებულმა პირმა უნდა მოითხოვოს გადაწყვეტილება და მას მხოლოდ შემდეგ მიეწოდება დაშტრიხული სახით. ამ პროგრამის საშუალებით კი, გადაწყვეტილებების ნახვა დაინტერესებულ პირს მისი გამოტანიდან რამდენიმე წუთში შეეძლება სპეციალურ ვებგვერდზე.

- თქვენი თქმით, ეს სერვისი ძირითადად, მომხმარებლებისთვის შეიქმნა, რათა კიდევ უფრო გაუმარტივდეთ ურთიერთობები სასამართლოსთან, მაგრამ საინტერესოა, სასამართლოსთვის რითია ეს პროგრამა მნიშვნელოვანი?

- პროგრამა ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის, თუმცა ამ პროგრამის ფუნქციონირების ორი მესამედი მოდის სისტემის შიგნით მის გამოყენებაზე, ამიტომაც, შეიძლება არ იყოს საზოგადოებისთვის საინტერესო, როგორ გაიმარტივებს სასამართლო საქმიანობას. თუმცა, შიდა საქმისწარმოების გამარტივებაც პირდაპირაა დაკავშირებული მომხმარებელთან. მაგალითად, სასამართლოს უხდებოდა ერთი და იგივე მონაცემის 34-ჯერ შეტანა სხვადასხვა გრაფაში, რაც დიდ დროს მოითხოვდა და ეს ყველაფერი ხელით კეთდებოდა. ახლა ეს მონაცემი ერთხელ შევა ელექტრონულად სისტემაში და ყველა თანამშრომელი, ვისაც კი შეხება ექნება ამ საქმესთან, მოსამართლით დაწყებული და კანცელარიის თანამშრომლით დამთავრებული, ელექტრონული სისტემით მიიღებს ინფორმაციას და თანაც, ძალიან სწრაფად. სასამართლოსთვის საქმიანობის გამარტივება მართლმსაჯულების დაჩქარების წინაპირობაა - მართლმსაჯულება კიდევ უფრო მეტად სწრაფი გახდება, რაც მომხმარებლისთვისაა ძალზე მნიშვნელოვანი.

- ბატონო კოტე, როცა გაჩნდა იდეა, ამუშავებულიყო ელექტრონული პროგრამა, გამოითქვა სკეპტიკური მოსაზრებები, რომ მსგავსი მასშტაბის სერვისის ამოქმედება შეუძლებელი იქნებოდა, ასეთ ვარაუდებს საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც გამოთქვამდნენ.

- ასეთი პროგრამები სხვადასხვა ქვეყნების სასამართლო სისტემებში დიდი ხნის მანძილზე მუშავდება და თითზე ჩამოსათვლელია ქვეყნები, სადაც მსგავსი ტიპის პროგრამები მუშაობს. როცა ამ პროგრაზე მუშაობა დავიწყეთ, შევისწავლეთ რამდენიმე ქვეყნის გამოცდილება - ნორვეგიის, ბოსნია-ჰერცოგოვინას, თურქეთის. მაგალითად, თურქეთში, როცა ჩავედით გვითხრეს, რომ ამ პროგრამის ამოქმედებას იქ 8-10 წელი დასჭირდა; ნორვეგიაში ჰქონდათ მხოლოდ სამოქალაქო საქმეებზე და აპირებდნენ გადასვლას სისხლის და ადმინისტრაციულ საქმეებზე; პროგრამა ამერიკის ყველა შტატშიც არ მოქმედებს სრულყოფილად.

უცხოელი ექსპერტები გვეუბნებოდნენ, რომ მსგავსი ტიპის პროგრამის შექმნასა და ამუშავებას წლები სჭირდება და მოკლე დროში მას ვერ აამოქმედებთო. თუმცა, ჩვენ სამ წელიწადნახევარში შევძელით პროგრამის შექმნაც და ამუშავებაც. პროგრამა პილოტური სახით რუსთავის საქალაქო სასამართლოში ამოქმედდა, სადაც დაიხვეწა ხარვეზები და მას შემდეგ სხვა სასამართლოებში ავამოქმედეთ.

ის ადამიანები ვინც სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი, როცა ნახეს ამუშავებული პროგრამა და მისი ხარისხი, გვეუბნებიან, რომ ასე მოკლე დროში, ამ მასშტაბის პროგრამის ამოქმედება უდიდესი მიღწევაა.

ამიტომაც, ვამბობ ასე თამამად, რომ ეს წელი ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო - უდიდესი მასშტაბის პროგრამა ავამოქმედეთ.

- ბატონო კოტე, უკვე 6 წელია, რაც სასამართლო რეფორმა მიმდინარეობს, საინტერესო იქნება თქვენს მიერ შეფასებული 6-წლიანი რეფორმის შედეგები.

- სასამართლო სისტემაში რეალური რეფორმა 2005 წლის გაზაფხულზე დავიწყეთ. თავიდან როცა დავიწყეთ მუშაობა, მივხვდით, რომ რეფორმა ყველა მიმართულებით უნდა ჩატარებულიყო, რადგანაც, სისტემა მთლიანად დანგრეული იყო - კადრებით დაწყებული, ელემენტარული ტექნიკურ-მატერიალური პირობებით დამთავრებული, ყველაფერი უნდა გამოცვლილიყო. ახლა ჩამოთვლა იმ ყველაფრისა, რაც ამ წლების მანძილზე ფაქტობრივად, ცარიელ ადგილას გავაკეთეთ, ძალზე ძნელია, მხოლოდ ძირითად მიმართულებებზე გესაუბრებით.

საქართველოში ყველა სასამართლო ან გარემონტდა ან სრულიად ახალი აშენდა და სასამართლოს შენობები ტექნიკურად საუკეთესოდაა გამართული. შენობების აშენება-გარემონტებისთვის და ტექნიკური გამართვისთვის დაგვჭირდა 5-6 წელი და 30 მილიონი ლარი. დამეთანხმებით, კომფორტული გარემოს შექმნა მუშაობის ხარისხსაც აუმჯობესებს. დღეს, მოსამართლეებს ყველა საუკეთესო პირობა აქვთ შექმნილი იმისთვის, რომ არ იფიქრონ სოციალურ, ყოფით პრობლემებზე - მოსამამართლეებს საკმაოდ მაღალი ხელფასი აქვთ და მათი ჯანმრთელობა დაზღვეულია სახელმწიფოს მიერ. ვფიქრობ, რომ ძალზე მნიშვნელოვანი მომენტია, როცა მოსამართლე დაფასებულია სახელმწიფოს მიერ. თამამად შეიძლება თქმა, რომ დღეს, საჯარო სექტორში მოსამართლეები ყველაზე პროვილეგირებულ პირობებში იმყოფებიან.

აქვე გეტყვით, რომ რეფორმის კიდევ ერთი წარმატებული მიღწევაა კორუფციის აღმოფხვრა. ჩემი აზრით, ეს უმნიშვნელოვანესი საკითხია და ამიტომაც, რეფორმაზე საუბარი ალბათ, ამ თემით უნდა დამეწყო, რადგანაც დიდ წარმატებებს ვერ მივაღწევდით ამ სენის აღმოფხვრის გარეშე.

რეფორმის პირველ წლებში კორუფციული ფაქტები საკმაოდ ხშირი იყო, მომდევნო წლებში საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ, მაინც ხდებოდა ერთეული შემთხვევები. თუმცა, ბოლო ორი წლის მანილზე მსგავს ფაქტს სასამართლო სისტემაში ადგილი აღარ ჰქონია და ეს უმნიშვნელოვანესი მომენტია. ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკითხვებიც ცხადყოფს, რომ ამ მიმართულებით სისტემაში საუკეთესო მდგომარეობაა.

კორუფციისგან თავისუფალ სისტემაში მოსამართლე სტაბილურად და თავისუფლად მუშაობს. გარდა ამისა, როგორც გითხარით, მოსამართლე სახელმწიფოს მიერ სოციალური გარანტიებითაა დაცული - აქვს კარგი სამუშაო პირობები, ანაზღაურება, დაზღვევა სახელმწიფოს ხარჯზე და ა.შ.

რეფორმის კიდევ ერთი შედეგია, მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა და ამისთვის საკმაოდ სერიოზული სისტემა შევქმენით. შეიქმნა მოსამართლეთა გადამზადების, დანიშვნისა და მომზადების საკმაოდ დახვეწილი სისტემები.

წელს იუსტიციის უმაღლესი სკოლის შექმნის 5 წლისთავი აღინიშნა, რასაც ძალზე დიდი კონფერენცია მიეძღვნა, რომელზეც 10 ქვეყნის წარმომადგენლები გვეწვივნენ. მათ ერთხმად აღიარეს, რომ კანდიდატ და მოქმედ მოსამართლეთა გადამზადების სისტემა საქართველოში ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა. საფრანგეთის წარმომადგენელმაც კი, რომლის მოსამართლეთა მომზადების მოდელი ევროპაში მისაბაძია, აღიარა, რომ ქართული მოდელი საუკეთესოა და მისი გამოცდილების გაზიარები სხვა ქვეყნებისთვისაც მნიშვნელოვანი იქნებოდა.

რეფორმის მიღწევაა ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებაც. ერთგვაროვანი პრაქტიკა პირველ რიგში, ხელს უწყობს გამჭვირვალობას. ყველასთვის ცნობილია, კონკრეტულ საქმეებზე როგორი პრაქტიკა არსებობს და რა შედეგი მოყვება სასამართლოსთვის მიმართვას.

კეთილსინდისიერმა ადვოკატებმა იციან, ქვედა ინსტანციებში მიღებულ გადაწყვეტილებას უზენაესი სასამართლო დააკმაყოფილებს თუ არა. თუ გადაწყვეტილების შეცვლის პერსპექტივა ერთგვაროვანი პრაქტიკიდან გამომდინარე, არ არსებობს, ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილებას ზედა ინსტანციაში აღარ ასაჩივრებს. ანუ, ერთგვაროვანმა პრაქტიკამ სხვა სიკეთეებთან ერთად, სასამართლოს გადატვირთულობის პრობლემაც მოხსნა. ერთგვაროვანი პრაქტიკა სახელმწიფოში სამაართლებრივი სტაბილურობის საფუძველიცაა.

კიდევ ერთი მიმართულებაა სასამართლო სისტემის სტრუქტურული რეორგანიზაცია, რომელსაც 2012 წელს მთლიანად დავამთავრებთ. 2005 წლიდან შეიქმნა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოები, რომლებიც მხოლოდ სააპელაციო და საკასაციო წესით მუშაობენ, პირველ ინსტანციაში გვაქვს 17 დიდი სასამართლო, რომლებიც ახალი წესით მოქმედებენ - მათთანაა გაერთიანებული მაგისტრატი სასამართლოები.

მოგვარებულის სპეციალიზაციის საკითხიც - მოსამართლეები სპეციალიზაციის მიხედვით იხილავს საქმეებს. სპეციალიზაციით საქმიანობამ უდიდესი შედეგი გამოიღო. მოსამართლე სპეციალიზირებულია ერთ კონკრეტულ სფეროზე და შესაბამისად, იზრდება მისი პროფესიონალიზმის

სასამართლოს ქრონიკა
19 დეკემბერი, 2011 წელი

პროცესზე აღიარებული დანაშაული და დაუსწრებლად წარდგენილი სასჯელები

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა ზაზა ხორგუანის, ვლადიმერ ორჯონიკიძის, გიორგი ბარბაქაძის, პაატა გურჩიანის, გიორგი გურჩიანისა და მევლუდ გუჯეჯიანის საქმის განხილვა. ისინი ბრალდებულნი არიან ყაჩაღობაში და ორგანიზებული ჯგუფის მიერ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნივთის დაუფლებაში. გარდა ამისა, გიორგი ბარბაქაძეს და პაატა გურჩიანს ბრალი ედებოდათ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვაშიც.



საქმის მასალების მიხედვით, 2004 წლის 22 დეკემბერს, ზაზა ხორგუანი, ვლადიმერ ორჯონიკიძე, გიორგი ბარბაქაძე, პაატა გურჩიანი, გიორგი გურჩიანი და მევლუდ გუჯეჯიანი თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, ჯგუფურად თავს დაესხნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს და პისტოლეტებისა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, სამინისტროს ხანძარსაწინააღმდეგო სამმართველოსათვის განკუთვნილი ხელფასი წაართვეს - სულ 131 452 ლარი.

ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსახურის ინფორმაციით, მევლუდ გუჯეჯიანი წარსულში ნასამართლევი იყო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის, თუმცა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო მას სასჯელი გადავადებული ჰქონდა. მიუხედავად ამისა, 2004 წელს მან კვლავ მძიმე კატეგორიის დანაშაული ჩაიდინა. რაც შეეხება გიორგი გუჯეჯიანს, მასაც წარსულში ჩადენილი არაერთი მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვის 22 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი, მაგრამ 2003 წელს სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან გაქცევა მოახერხა.

სასამართლო სხდომაზე, საქმის არსებითად განხილვისას, ბრალდებულებმა ვლადიმერ ორჯონიკიძემ, გიორგი ბარბაქაძემ და პაატა გურჩიანმა ჩადენილი დანაშაული სრულად აღიარეს. ამასთან, გარდა აღიარებითი ჩვენებისა, მათ მიმართ წარდგენილი ბრალდება პროცესზე დადასტურდა სხვა უტყუარი მტკიცებულებებით. საბოლოოდ, ბრალის აღიარების საფუძველზე, მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმება გაფორმდა, რაც თბილისის საქალაქო სასამართლომ დაამტკიცა.

სასამართლოს განაჩენით გიორგი ბარბაქაძეს სასჯელის ზომად 3 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა; პაატა გურჩიანს 7 წლით პატიმრობა და ჯარიმა 10 000 ლარი დაეკისრა; ხოლო ვლადიმერ ორჯონიკიძეს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

რაც შეეხება ზაზა ხორგუანს, გიორგი გურჩიანსა და მევლუდ გუჯეჯიანს, ისინი ამჟამად მიმალვაში იმყოფებიან. ამიტომ, ისინი სასამართლომ დაუსწრებლად გაასამართლა. ზაზა ხორგუანს სასჯელის ზომად 11 წლით და 4 თვით პატიმრობა შეეფარდა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით, ჯარიმა 5000 ლარი დაეკისრა; გიორგი გურჩიანს 31 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, ასევე ჯარიმა 6000 ლარი; ხოლო მევლუდ გუჯეჯიანს 12 წლით პატიმრობა და 6000- ლარიანი ჯარიმა დაეკისრა. კანონმდებლობით, ძებნილ მსჯავრდებულებს სასჯელის ათვლა თავისუფლების აღკვეთის მომენტიდან დაეწყებათ.

შვიდწლიანი რეფორმის შედეგი

გამართული, კვალიფიციური, დამოუკიდებელი, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულება

წინა გვერდიდან

დონეც, რასაც საქმის განხილვის სისწრაფე მოჰყვება. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოში შიდა სპეციალიზაციაც კი შემოვიღეთ, სხვადასხვა კატეგორიის საქმეებზე კონკრეტული მოსამართლეები მუშაობენ და წარმატებულადაც განიხილავენ საქმეებს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც საუკეთესოდაა მოგვარებული, ესაა, საზოგადოებასთან ურთიერთობაა. გვყავს სპიკერი მოსამართლეები, პრესსამსახურები, რომელთა მეშვეობით ყველა საჭირო მექანიზმი მუშაობს, რათა სასამართლო საზოგადოებას ესაუბროს.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც რეფორმის შედეგად მოვაგვარეთ ესაა წესრიგის დამყარება სასამართლოში. საუბარია, მანდატურის ინსტიტუტზე, რომელიც სასამართლოში წესრიგის დაცვაზე ზრუნავს. სპეციალური წესების შექმნითა და მანდატურის ინსტიტუტის შემოღებით სასამართლოს მუშაობა საკმაოდ ცივილურ რეჟიმში მიმდინარეობს.

და უპირველესი, რაც მრავალწლიანი რეფორმის შედეგად მივიღეთ ესაა სასამართლოს ხელმისაწვდომობა. სასამართლო ყველა დასახლებულ პუნქტშია და მოსახლეობას აქვს მართლმსაჯულების სრული ხელმისაწვდომობა, არა მხოლოდ ტერიტორიული თვალსაზრისით, იმითაც, რომ საქმეებს დაუბრკოლებლად იღებენ განსახილველად. სახელმწიფო ბაჟიც იმდენად გონივრულია, რომ საკუთარი უფლებების დასაცავად სასამართლოსთვის მიმართვა ყველა მოქალაქეს შეუძლია.

რეფორმირებული სასამართლოსთვის ასევე მთავარი კრიტერიუმია სისწრაფე. წინა წლებთან შედარებით, ახლა სამივე ინსტანციაში საქმეთა 95 პროცენტი იხილება ძალზე სწრაფად. ყველაზე სწრაფია სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის ვადები, მას მაქსიმუმ 12 თვე სჭირდება სამივე ინსტანციაში. ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვას 14-15 თვე და სამოქალაქო საქმეებს 17 თვე.

თუ ევროპის ქვეყნების მონაცემებს შევადარებთ, ამ მხრივ, საქართველოს საუკეთესო მაჩვენებელი აქვს. მაგალითად, გერმანიას აქვს კარგი შედეგი და საქართველო არაფრით ჩამოუვარდება მას, ზოგ შემთხვევაში, უსწრებს კიდეც. სწრაფი მართლმსაჯულების თვალსაზრისით, ჩვენთან შედარებით, საკმაოდ ცუდი მაჩვენებელი აქვს იტალიასა და საფრანგეთს.

რეფორმის კიდევ ერთი პრიორიტეტი სასამართლოს დამოუკიდებლობაა. უფრო ზუსტად, ესაა მიზანი - წლების მანძილზე თავდაუზოგავი შრომის შედეგი.

ჩატარებულ კვლევებში მოსახლეობა აღნიშნავს, რომ სასამართლო არის დამოუკიდებელი და ობიექტური, რისი ხარისხიც კიდევ უფრო გაიზრდება. მართალია, ამ მხრივ, გარკვეული ხარვეზები ჯერ კიდევ არსებობს, მაგრამ ნელ-ნელა, ეს საკითხიც ბოლომდე მოწესრიგდება.

გვაქვს სხვა სერიოზული წარმატებები, რომელიც სასამართლოს გამართულობას განაპირობებს, მაგრამ მათი ჩამოთვლით თავს აღარ შეგაწყენთ, გესაუბრეთ, მხოლოდ იმ ძირითად სფეროებზე, რომლებზე მუშაობითაც მივიღეთ გამართული, კვალიფიციური, დამოუკიდებელი, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულება.

- მიუხედავად წარმატებებისა, ბუნებრივია, არსებობს პრობლემებიც, თქვენი აზრი მაინტერესებს, სასამართლო სისტემაში რა ხარვეზი არსებობს?

- კვალიფიკაციის საკითხს ამიტომაც გავუსვი ხაზი - კვალიფიკაციის ზრდა მუდმივი პროცესია. არ შეიძლება ადამიანმა, მით უმეტეს, მოსამართლემ ჩათვალოს, რომ ერთხელ გავლილი მოსამზადებელი კურსი მისი სრულყოფისთვის, წლების მანძილზე საქმიანობისთვის და მაღალი ხარისხის გადაწყვეტილებების მისაღებად საკმარისია. ბოლო წლების მანძილზე სასამართლო სისტემა, კანონმდებლობა მუდმივ ცვლილებებს განიცდის, რასაც მოსამართლემ ფეხი უნდა აუწყოს და ცვლილებების შესაბამისად, მუდმივად უნდა ვითარდებოდეს. ამ მიმართულებით მუშაობა ჩვენთვის პრიორიტეტულია.

მოსამართლეთა კვალიფიკაცია ძალზე კარგად ჩანს მათი გადაწყვეტილებების დასაბუთებულობის ხარისხში. გითხარით, რომ ჩვენ გვყავს ბევრი მაღალკვალიფიციური მოსამართლე, რომელთა გადაწყვეტილებების ხარისხი უმაღლესია, თუმცა, არიან ისეთებიც, რომელთა გადაწყვეტილებებს დასაბუთებულობა აკლია. არადა, თუ გადაწყვეტილება - ან შუალედური ან საბოლოო, კარგად არ არის დასაბუთებული, მოტივია იმისა, რომ ის ზედა ინსტანციაში გაუქმდეს. ეს საკითხი დღეს სასამართლოსთვის ერთ-ერთი პრობლემაა და ამიტომაც, ჩვენ მას ძალზე სერიოზულ მნიშვნელობას ვანიჭებთ და აქტიურად ვმუშაობთ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად.

- თქვენ თქვით, რომ 2011 წელი მნიშვნელოვანია იმით, რომ ელექტრონული პროგრამა ამოქმედდა, 2011 წელს გაიმართა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პირველი პროცესი, როგორ შეაფასებდით მას?

- გეთანხმებით, ეს წელი გარდა იმისა, რომ ამუშავდა საქმის წარმოების ელექტრონული პროგრამა მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ჩატარდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პირველი პროცესი. ეს არა მარტო სასამართლოსთვის ზოგადად, ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი მომენტია. თითქმის ყველა სხდომაზე დარბაზი სავსე იყო დამსწრეებით, რაც, ამ ინსტიტუტისადმი საზოგადოების ინტერესზე მიუთითებს და იმაზეც, რომ მის მიმართ ნდობა ძალზე მაღალია.

საზოგადოების სახელით ვერდიქტი გამოიტანა 12-მა ადამიანმა და ეს ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტია.

ვერდიქტს გამოტანის შემდეგ, შევხვდი ნაფიც მსაჯულებს, ისინი ძალზე მოტივირებულები იყვნენ, განაცხადეს, რომ ძალზე პასუხისმგებლობით მოეკიდნენ პროცესს და ის საათები, როცა ვერდიქტზე მსჯელობდნენ, მათ ცხოვრებაში ყველაზე დაძაბული მომენტი იყო.

- და ბოლოს, ბატონო კოტე, რა იქნება მართლმსაჯულებისთვის 2012 წელს პრიორიტეტული?

- როგორც გითხარით, მომავალ წელს საქმის წარმოების ელეტრონული პროგრამა მთელ მართლმსაჯულებაში ამოქმედდება. გარდა ამისა, სასამართლო სისტემა საბოლოოდ ჩამოყალიბდება სტრუქტურულად. თუ ახლა 17 გაერთიანებული სასამართლო გვაქვს თავის 30 მაგისტრატი სასამართლოთი, 2012 წელს გვინდა გაერთიანების პროცესი დასრულდეს და შეიქმნას 20-21 ასეთი ტიპის სასამართლო. გარდა ამისა, გაგრძელდება იმ პრობლემებზე მუშაობა, რომელთა შესახებაც ვისაუბრეთ - ესაა გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და მოსამართლეების კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა. ასევე, ვიზრუნებთ მოსამართლეებისთვის კომუნიკაციის სტანდარტების უფრო მეტად სწავლებაზე. უკვე შევქმენით სპეციალური კურსი, სადაც მოსამართლეები ისწავლიან, თუ როგორ უნდა განახორციელონ სამოსამართლო საქმიანობა დარბაზთან კომუნიკაციის წესების დაცვით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 9 თვის მონაცემები

სასამართლოს საქმიანობის ეფექტურობისა და გამჭვირვალობის მიზნით, როგორც წესი, გარკვეული პერიოდულობით, მუდმივად ხორციელდება სასამართლოს მუშაობის სტატისტიკური მონაცემების დამუშავება. ამჯერად, გთავაზობთ, სტატისტიკურ მონაცემებს, რომელიც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის ცხრა თვის მუშაობის შედეგებს ასახავს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში 2011 წლის 9 თვის განმავლობაში, სისხლის სამართლის 445 საქმე შევიდა. რაც წინა თვეებში განუხილველად დარჩენილ 84 საქმეს მიემატა. ამ ხნის განმავლობაში სააპელაციო სასამართლომ 465 საქმის განხილვა დაასრულა. ამავე პერიოდში, დაუმთავრებელ საქმეთა რაოდენობა 57-ს აღწევს.

ბოლო 9 თვის განმავლობაში, ქუათისის სააპელაციო სასამართლოში შესულ საქმეთაგან 141 ნაკლებად მძიმე დანაშაულს განეკუთვნებოდა. გასული თვეებიდან ამ კატეგორიის 16 საქმე იყო დარჩენილი განსახილველი. 2011 წლის 9 თვეში, სააპელაციო სასამართლომ ნაკლებად მძიმე დანაშაულის სულ 139 საქმე განიხილა.

რაც შეეხება მძიმე კატეგორიის დანაშაულს. ამავე პერიოდში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში ამ კატეგორიის სულ 152 საქმე შევიდა, რაც წინა თვეების დარჩენილ 18 საქმეს დაემატა. ცხრა თვეში სასამართლომ მძიმე დანაშაულის სულ 159 საქმე განიხილა.

2011 წლის ცხრა თვეში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის 152 საქმე შევიდა, რაც ნაშთად დარჩენილ 28 საქმეს დაემატა. ცხრა თვეში სასამართლომ ამ კატეგორიის სულ 174 საქმის განხილვა დაასრულა.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში შესული და განხილული სამოქლაქო საქმეების რაოდენობა ასეთია: სულ შევიდა 1066 სამოქალაქო საქმე, აქედან 1033-ის განხილვა დასრულდა. 2011 წლის ცხრა თვეში, სააპელაციო სასამართლოში ახლად აღმოჩენილი გარემოებების შესახებ სულ 18 განცხადება შევიდა. ამავე პერიოდში მოსამართლეებმა 17 ამ კატეგორიის განცხადება განიხილეს. განჩინების ბათილად ცნობის თაობაზე, სააპელაციო სასამართლოში შევიდა სულ 10 განცხადება, რაც ნაშთად დარჩენილ ერთ განცხადებას დაემატა. ამ შინაარსისს 11 განცხადება განხილულია.

რაც შეეხება გადაწყვეტილების უსწორობის გასწორების შესახებ განცხადებებს, 2011 წლის 9 თვეში, ასეთი განცხადებების რაოდენობა მხოლოდ 4-ით განისაზღვრა, რაც განუხილველად დარჩენილ 1 განცხადებას დაემატა. ხუთივე განცხადება ბოლო ცხრა თვეშია განხილული.

რაც შეეხება მონაცემებს ადმინისტრაციულ საქმეებზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მუშაობის შესახებ. სასამართლოში 9 თვის განმავლობაში შესული და განხილული ადმინისტრაციული საქმეების სტატისტიკური მონაცემები ასეთია: სულ შესულია 923 ადმინისტრაციული საქმე, რც წინა თვეებიდან ნაშთად დარჩენილ 102 საქმეს მიემატა. სააპელაციო სასამართლომ ამ საქმეებიდან 907 განხილვით დაასრულა. საქმეების რაოდენობა, რომლებიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს შეეხებოდა და რომლებიც ბოლო 9 თვეში შევიდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, 97-ით განისაზღვრა. განუხილველად დარჩენილი იყო 3 საქმე, სასამართლომ მთლიანობაში განიხილა 98 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმე.

ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით, 2011 წლის ცხრა თვეში, სასამართლოში შევიდა გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე 6 განცხადება, რომელთაგან ექვსივე ამავე პერიოდშია განხილული; განცხადება გადაწყვეტილების უსწორობის გასწორების შესახებ - 3; განცხადება ახლად აღმოჩენილი გარემოებების თაობაზე - 8, რომელთაგან ხუთი განხილვით დასრულდა.

ჩანართი მომზადებულია პროექტის "სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერა" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით მათ ავტორებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოსაზრებებს.